№ 19 იანვარი 27, ოთხშაბათი 1888 იანვარი 27, ოთხშაბათი № 19


ГАЗЕТЫ ЦѢНА

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ


გაზეთის დასაკვეთად და ყოველ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიეთარონთ: თბილისში რედაქციას, ახალ ბულუოვოვის ქუჩ., სახლი № 9, ᲑᲔ ხიდდეველის საგაზეთოს. გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

### ვისაც ᲮᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲕᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ 1888 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲮᲛᲐᲠᲗᲝᲡ:

**ᲤᲝᲜᲘᲚᲘᲡᲨᲘ** ა) თეოფონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეველის გაზეთის საადგილოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშიეე.)

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ᲮᲝᲜᲨᲘ:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ:** მ. ნათაძეს.

ოჯალისის გარეშე მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშიეე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 26 იანვარი

ის საშინელი ჭირი ვეწახებისა, რომელიც ამას წინად ჩვენს მეთაურში მოგიხსენიეთ და რომელსაც «მილდიუ»-ს ეძახიან, დიდი ხანი არ არის, რაც ევროპაში გაჩნდა. 1878 წლამდე ეს ჭირი არაკის არა სცოდნია ევროპაში, ხოლო ამერიკაში-კი დიდი ხანია, რაც ყოფილა და არის. პირველად მილდიუ გამოჩენილა საფრანგეთში და 1880 წ. რამდენისამე მილიონის ვენახები გაუფუჭებია. [illegible] გარ გადმოსულა ეს ჭირი ამერიკიდამ, არავინ იცის, ხოლო საფრანგეთსა სწვევია 1878 წ. და აქედამ მოსდებია მთელს ევროპას, გადასულა ისპანიასა, შვეიცარიასა, ავსტრიასა და გერმანიაში, 1881 წ. მისულა საბერეთს რუსეთში, ოსმალეთსა და საბერძნეთში და შარშან ზაფხულში ხომ ჩვენს ქვეყანასაც ეწვია, ნამეტნავად კახეთსა.

თუ ეხლავ არა ეშველა-რა ამ ჭირს, აუცილებელია, რომ ჩვენს ვენახის პატრონებს ცარიელზედ დასხმამ და ეს ძალოვანი სიმდიდრე ხელიდამ გამოგვეცლება, როგორც ეს მოხდა საბერეთს საფრანგეთში და ჩრდილო-ისპანიაში. ჩვენდა სანუგეშოდ, მეცნიერებამ ამ ჭირს წამალიც უპოვეს იმოდენად ადვილად მოსახერხებელი და იეფი, რომ თითქმის არავის გაუტრირდება ისმაროს და ვენახი დიდს განსაცდელს გადაარჩინოს. მინამ ჩვენ ამ წამალზედ ვიტყოდეთ რასმე, საჭიროა ჯერ შევიტყოთ მიზეზი ამ საშინელის სენისა, რა სახის სენია და რა ნიშნებით იცნობება. უამისოდ კაცი ადვილად მოსტყუვდება და სხვა გვარს რასმე სენს მილდიუმად მიიჩნევს.

მილდიუს მოვლენის მიზეზი პაწია სოკოა, ანუ ობი, რომელიც პირველში მწვანე ნაწილს ვაზისას შიგ აგებულებაში უჩნდება, სწოვს ამ ნაწილის წვენსა, ამ წვენით იკვებება, თვითონ მწვანე ნაწილს-კი აუძლურებს, სჩაგრავს და ბოლოს ჭკლავს ბოლეც.*) ამ სოკოს, როგორც სხვა ყოველგვარს მცენარეს, თავისი თესლი აქვს. ეს თესლი შტოებიან ფერონზედა სხეულს და ეს ფერონ გარეშე გამოდის და თვალად სჩანს. აი ეს ფერონები, რომელსაც ზედ თესლი ასხია, უეშველი, უტყუარი ნიშანია, რომ ვაზს მილდიუ სწვევია. ეს თესლიანი ფერონები სოკოსი გარეშე გამოჭყოფენ თავს სნეულის ფოთლიდამ და ფოთლის ქვედა-პირზედ რძის ფერად, თეთრად დეეურება ხოლმე თითქო პატარ-პატარა ხვავებიანი. ეს თეთრი ხვავები ერთმანერთს არ გადაებმიან ხოლმე და უფრო ხშირად ცალ-ცალკე არიან და კარგად გაერჩევიან ერთმანერთისაგან, ზოგჯერ-კი ერთად ჭგრეოვდებიან. როცა სოკო თავის სისრულეში მოდის, მაშინ თესლის ხვავები დახვიშრებულ მარილის ხვავსა ჰგავს, ან თითქო ფხვნილის შაქრის ჯგუფიანი. შემოდგომაზედ და [illegible] ცვივნას დაიწუბს, ეგ თეთრი ხვავები ისე აღარ ბრწყინავენ, როგორც წინად, და მოლურჯო ფერი სცემს, როცა ეს თეთრი ხვავები ჯერ ცოტანი არიან და ჭაობში, რომელიც ფოთლის ქვემოთა პირზედ აქვს ხოლმე, ვერ გამოიჩრჩევა, მაშინ გამადიდებელის მინით უნდა გაისინჯოს და ადვილად დასანახი იქნება, ჭაოს ქვეშ არის თუ არა თეთრი სოკოს თესლის ხვავი.

ერთი ფრანგი ტერრელ-დე-შენი სწერს, რომ ყველაზედ უწინარეს მილდიუ აჩნდება ხოლმე იმ ფოთლებს ვაზისას, რომელიც ვაზის ძირზედ უფრო ახლო არიან. ეს ამბავი უეშველი მართალია და მაშასადამე, პირველ ხანში მილდიუ უნდა ეძიონ იმ ფოთლებზედ, რომელნიც მიწაზედ ახლონი არიან. ეს მეტად დიდ-მნიშვნელობიანი ამბავია, რადგანაც პირდაპირ აჩვენებს ჭირის ადგილს და იმასაც თუ,—ჭირის გამოჩენის უმალ სად უნდა მიაშველოს კაცმა წამალი. იგივე ტერრელ-დე-შენი ამბობს, რომ ვაზი, რაც ახალია, უფრო ძლიერ ეურჩება ცნობასა, რომელიც პირველ ხანში ძალიან გაუადვილებს კაცს ჭირიან ვაზის პოვნასა: მილდიუ ახალზედ არ უნდა ეძებოს, არამედ უფრო ძველს ვაზზედა.

ამის შემდეგ ჩვენ ვაცოდინებთ ჩვენს მკითხველს, რა ნაწილს ვაზისაა [illegible] ვაზის ნიშნები წარმოგვიდგენს თვითონ ჭირის გამოსაცნობადად.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** რუსულს გაზეთებში ეკითხულობთ, რომ ვლადიმირის საგუბერნიო - კრებამ თავად - აზნაურობისამ მიულოცა ეხლანდელს მარშალს გუბერნიისას, უგანათლებულესს თავადს ნიკოლოზს ილიას ძს გრუზინსკის, რომ იგი კელავ სამი წლით ამორჩეულ იქმნა გუბერნიის მარშლად და სასპატიო მზრუნველად გუბერნიის გიმნაზიისა. არჩევანზედ 217 ხმა ყოფილა უგანათლებულესის თავადისაკენ და მხოლოდ 3 ხმა—იმის წინააღმდეგ. ტაშის კრიანაგან შეიძრა მთელი დარბაზი კრებისა და თავად-აზნაურობა პურ-მარილით წარუდგა თავად გრუზინსკისაო.

*** ზამთარი ლამის გათ[illegible] და ტფილისში-კი ჯერ ისევ შემოდგომის დღეებია. მოწმენდილი ცა და მზე დილიდამ საღამამდე ათბობს საკმარისად, ამის გამო შეშის ფასმა ძრიელ დაიწია. წინად ამ დროს თუ ურემი შეშა იყიდებოდა 6—8 მანათად, ეხლა იმისთანა ურემს ჰყიდიან 2—3 მანათად.

*** ხვალ საქალაქო გამგეობის სახლში დანიშნულია პირველი კრება საზოგადოებისა. რომელსაც აზრადა აქვს დაეხმაროს გაჭირებულს შეგირდებს საქალაქო სასწავლებლებსას.

*** თაირის მეიდანზე მიმმსვლელ[illegible] ტუარების გამო. უმისოდაც ვიწრო ქუჩებს, ეჯარები უფრო აიწროებენ. დუქნების წინ ტროტუარზე წყობენ ყუთებს, გოდრებს და სხვანი. მოსიარულეთ არ შეუძლიანთ პატარა ხნით შეფერხდნენ, ან ბაყალი წაჰკრაეს მუჯლუგუნს, ან მეფწრილმანე: «თუ ყიდულობ რასმე, იყიდე, თუ არა-

*) ყოველივე რასაც მოუთხრობთ ჩვენს მკითხველებს მოულდიუზედ, ამოღებულია ჟურნალიდამ „Русскій Виноградъ“.

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### ᲓᲘᲐᲑᲝᲚᲘᲜᲐ

მოთხრობა

ვიტტორიო ბერსეციისი

## I

სინიორა ეფრონიკა პერსილის დარბაზში ჯერ ცოტანი იყვნენ სტუმრები; როცა იქ მიეიდა გულ-კეთილი თომმაზო რილლა. გულ-კეთილმა თომაზომ აიღო მაღლა თავი თავის ჩვეულებისამებრ და დაიწყო აქეთ-იქთ ბეკეიეთ ცქერა. მაინც უამისოდაც თომმაზო ბეკი იყო და თავის ნაკრის ფერის თვალებით კარგად ეერასა ჰხედავდა. დიასახლისმა შენიშნა, რომ თომაზო ეიღაც ქალის შლეიფში გაებაო და დაუძახა:

— კეთილო სინიორ რილლა, რამდენი ხანია აღარ გეინახეიხარ! ჩვენ ბეეგონა რომ კიდეც წახვედით სოფელში. ფლეიტა არ მოიტანეთ? ძალიან კარგს-კი ინებებდით, რომ მოგეტანათ: დაუკრავდით რასმე და გაგართობდით.

ყმაწვილი კაცი გაწითლდა მორცხვობისაგან, წაიღუღუნა რაღაცა და ახლო მიეიდა იმ საკარძელთან, რომელშიაც ბრძანდებოდა სინიორა პერსილი, ორმოცის წლის ქვრივი.

— არ მეღირსა თქვენი ნახვა, ბატონო, იმიტომ-რომ სახლში არა ბრძანდებოდით ხოლმე, თორემ რამდენჯერმე გიახელით თქვენ სანახავად.

— იმ დროს თუ მობრძანდებოდით ხოლმე, როცა სტუმრების მიღების დღე არ არის...

— როგორც ჰხედავთ, ჯერ აქ გახლავართ და ხვალ-კი გიახლებით. დღეს იმიტომ შემოვიარე, რომ გამოგეთხოვოთ და შეეიტყო, ხომ არას არ დამბარებთ მონტეჯილიოში.

— როგორ? ნუ თუ ხვალ მიბძანდებით? ლიზა, გაიგონე...

ლამაზი ყმაწვილი ქალი მოტრიალდა დიასახლისისაკენ. თომაზო კელავ განაგრძობდა გულ-დინჯად თავის მოხსენებას თითო-თითოდ.

— ფლეიტაზე დღეს ვერას დაუკრავ, ბატონო, იმიტომ-რომ ბარგი შეეკარი და ფლეიტაც შიგ გავახვიე.

ყმაწვილი ქალი ისე ახლო უდგა თომაზოს, რომ იმისი მშვენიერი ტიტველი მკლავი შეეხო თომაზოს სახელოს. ქალი მშვენიერი იყო, თეთრ-ყირმიზი, თვალ-ტანადი, ნარნარი.

— გამარჯვება, თომაზო!—მიესალმა ქალი ტოლ-ამხანაგურად, როგორც დიდის ხნის ნაცნობი.

ყმაწვილმა კაცმა დიდის თავაზით და რიდით დაუკრა თავი.

— რასა ბძანებთ, ბატონო თომაზო, ფლეიტასა და ბარგზედა?

— თომაზო ბძანებს, რომ ხვალ მიეიდეარ სოფელში და მოგეიდ გამოგეთხოვოთო.

— მონტეჯილიოში უნდა დაბრუნდეთ?

— დიაღ, ლიზა. ხომ არას დამბარებთ?

— წიგნს გაგატანთ მამასთან. უთხარით, რომ მე კარგადა ვარ, ძალიან მიხარიან-თქო, რომ ერთს თთვეს უკან გამოვალ პანსიონიდამ და სახლში დავბრუნდები-თქო. მოიკითხეთ ის ადგილები, საცა ეთამაშობდი ხოლმე ყმაწვილობაში და საცა თქვენც ჩემ თან ერთად ცელქობდით ხოლმე, თუმცა სკდილობდით-კი ისე ვეჩევენებინათ თავი, ეითომ დიდი ეარო.

— დია... დიაბოლინასთან ხომ არას დამბარებთ?

— იმ დამთხეეულთან? ბეკრი რამ უამბეთ ჩემ მაგიერ. იმედი მაქვს ეხლა უფრო მოგრიგდებით ერთმანერთში, ვიდრე მაშინ, როცა ორიეენი ყმაწვილები ვიყავით. დიაბოლინა ყოველთვის მაცეცხლებდა ხოლმე. უცნაური რამ არის! ნეტა განახეთ, რა წერილებსა მწერს! უცებ მომწერს სამ-ოთხს ფურცელს: თავის გულსა და სულს შიგ აზეეეს; მწერს ყველაფერს დაწერილებით; მერე შეეხედავ და ოთხად-ოთხს სტრიქონს იწერება მოკლედ, გულ-ცივად; ხან კიდეე თვეებიც გაიელის და ხმასა, კრინტს აღარ ამოიღებს; აღარ ეიცი ხოლმე, მკვდარია თუ ცოცხალი.

— დიაღ, დიაღ,—სთქვა თომაზომ, თითქო ამაებში ბიდ მეკოდნე კაცი იყოსო და ამ ხანად დაუშტერდა თავის წაღის წვერებს:—მართალსა ბრძანებთ; დიაბოლინა სხვებს არა ჰგავს.

— დაბადებითვე ჭირეეული და კაპარჩხინაა,—ნიშნ-მოგებითა სთქვა სინიორა ეფრონიკამ. ეშმაობ, რომ ჩემმა ძმამ თავის გულ-კეთილობითა და ხასიათის სისუსტით უფრო არ გაათამამოს და არ გადარიოს დიაბოლინა.

კაცი შეატყობდა თომაზოს, რომ არ ეკეშნიკა ესეთი აზრი, მაგრამ თქმით-კი არა სთქვა-რა.

— ისეთივე უნასია დიაბოლინა, როგორც პატარაობისას იყო?—განაგრძო დიასახლისმა.

თომაზო შეკრთა და თვალები ისე აენთო, რ[illegible] ბეკერწყლები გადმოსცეეედა.

— უნასია!—გაიკვირვა თომაზომ.

— დიაღ,—არ იშლიდა თავისას სინიორა ეფრონიკა: — დიაბოლინა ისევ ისეთივე კურკაა, ჭლე, შავტუხა და ქაჯი, როგორც პატარა ეშმაკი. ამიტომ დაარქვეს მეტ სახელად დიაბოლინა. დიდი ხანია აღარ მინახავს და, თუ ეხლა ცოტათი მაინცა ჭგავს ადამიანს, მაშ ძალიან გამოცვლილა.

— დიაბოლინა ეხლა ოცის წლისაა, მტკიცედა სთქვა თომაზომ.

— რას ბრძანებთ, ოცდა-სამისა და ოც-და-ოთხისაკე იქნება. იქნება მეტისაკე არის. გაიწყეტინა სიტყვა დიასახლისმა.

— ოცის წლისა გახლავთ,—უფრო მეტის სიმტკიცით გაიმეორა ყმაწვილმა კაცმა.—აგერ ოთხი წელიწადია, დიაბოლინა ყველას აგიყეს თავის სილამაზითა.

— ოჰო, კეთილო სინიორ თომაზო,—დაცინვით წამოიძახა მამიდამ—ეგ იმას ხომ არა ნავს...

ეეღარ გაათავა ქალმა თავის თქმელი, რომლის დასაწყისმაეე ცოტა წუკიდა თომაზო.

— ლიზა,—სთქვა უცებ ეფრონიკამ და ყელი მოიღერა—აგერ, ადეოკატი მოეიდა!

[illegible]

და, აქ რას აყუდებულხარ, გასწი... გასწიო!» ხშირად ლანძღვასაც დაუწყებენ. ხან-და-ხან ეიღაცის ბძანებით დასცლიან ხალმე ტროტუარებს მიმომსვლელთათვის, მაგრამ ორისამის დღის შემდეგ ისევ გამოჰფუნენ საეკროს. არ ეიცით, რა მიზეზია, რომ ამ უწესოებას ვერა ჰხედავს, ეისიც ვალია, და თუ ჰხედავს, რატომ არ მოსპობს!..

*** ავჭალის ქუჩაზე ბ-ნ სადაღლის სახლები სამაგელს მდგომარეობაშია: სარეცხის წყალს ეზოში ჰღვრიან, რადგან სხვა ადგილი არა აქვთ; ეზოს კარის კედელში აქეს უშმინდურობის ორმო, რომელიც არასოდეს არა სუფთაედება. ამ ორმოსათვის ფიცრები დაუხურავთ, ქერი დაუფარებიათ, კედლებზედ ქაღალდი გაუკრავთ და ქირით გაუცია. ადვილად წარმოსადგენია, რა ჰაერიც არსებობს ამ ერთი ბეწო ეზოში და საკუთრებით ამ ოთახებში, რომ ... ეგეზაც მიაქციონ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება.

*** სადგური აბაშა: ამას წინად სოფ. კეთანაში ერთმა გლეხმა გაათხოვა ქალი. ქორწილის ღამეს სიმამრმა გადაულოცა სიძეს ას მანათიანი ქაღალდის ფული. სიძემ გარდასცა შესანახავად ერთს თავის ნათესავს, რომელიც მაყრად ახლდა. მეორე დღეს ფაეტონით გამოემგზავრნენ სიძეკანისაკენ. მაყრები შეზარხოშებულნი იყვნენ, სიძის ნათესავს ამოაღებინეს ნაბუქი ... ას მანათიანი და ქუდზედ ... ეკრესეინეს. ერთხან ასე «შიკეთ» მოდიოდნენ, შედეგ ამ ნათესავმა ხელში ... ... ...

თანა წერილ-ფერხ კაცებზე უფრო დიდი ბობოლაები დაპარაკობენ... და ჩვენ კი-სი რა ვარო, რომ არა ვთქვათ: «ადამად ღირსია!»

მესამე კანდიდატის, დაე. ბეს. მიქა-ჯაფლისთვის ᲒᲔᲓᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡ... ამისი წარ-სული... პოლიციის მოქალაქეობის დროს ამისი სამსახური ქალაქისთვის. ამ კანდიდატის მოღვაწეობა და თავ-დადებული სამსახური ქალაქისა და მოქალაქეთთვის ეკვლს დღესაც ისე ახსოვს, როგორც გუშინდელი ამბავი...

მეოთხე კანდიდატზე, ბ. ᲒᲐᲛᲒᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲫᲣᲚᲘ წერილზე, ი. ს. მესხეზე, ამის დაპარაკობენ: «ათი წელიწადია ამის უსამია... აწი ჩვენ გაკეცდამოთ!..» მართალიც არის:—ნამუსიც კარგი საქონელია! აწი სხვამ მაირთვის, შე დალოცვილო!..

ᲔᲠᲝᲜᲘ ᲛᲔᲣᲜᲔᲨᲕᲝᲜᲐᲒᲜᲘ

<>

## წერილი რედაქციის მიმართ

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ!

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში, რომ ეოუკლიეე ცნობანი და შენიშვნანი, რაც-კი ბეუწდეს თქვენს გაზეთში სურამის მხრადგან, აეზიანებან არა ჩემგან, რომ მე არც არაფერს მონაწილეობას ვიღებ თქვენს გაზეთში და არც მომიღია.

ამითი თქვენ მე დამიხსნით მრავალ უსამოუნებისაგან, რომელსაც მედამ სასთს მაკენებენ, რომ ენება რამ მომ-ტენ.

დავით ᲯᲘᲜᲝᲕᲘ*)

*) რედაქცია თავის მხრივ საშეროდ ჭრაცხს გამოაცხადოს, რომ მართლაც ბ-ნს ᲯᲘᲜᲝᲕᲘᲡ არა მიუწერია და გაზეთში დასაბეჭდად, გარდა ამ წერილისა. რედ.

## უცხოეთი

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. დორდ სალისბერ მა და სმიტმა დაუბაკვნეს წერილები თავიანთ მომხრეებს და სთხოვეს, რომ ე

# ᲓᲔᲞᲔᲨᲘ

25 იანვარი

**ᲐᲗᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** წარსულს 30-ს ენკენისთვეს აღეკრძალა ცალკე ნომრობით გაყიდვა გაზეთებს «Сынъ Отечества» და «Минута»-ს. ეხლა შინაგან საქმეთა მინისტრმა ხსენებულ გაზეთებს დაუბრუნა ცალკე ნომრობით გასყიდვის უფლება.

გუშინ საზამთრო სასახლეში გამართული იყო ბალი, რომელზედაც მიპატიჟებული იყო და კიდეეც დესწრო 700 კაცი.

როგორც გაზეთები იუწყებიან, 30-ს იანვარს დაიწყებს მოქმედებას კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ის, თუ რა საშუალებით შეიძლება გააძლიერონ სპირტის ეკონომია.

გაზეთი «Новое Время» იუწყება, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკი აქვთ იმის თაობაზე, რომ ბათუმის მხარეში დასახლონ რუსები. მას აქვთ, რაც ეს მხარე რუსეთს შემოუერთდა, რუსებს დაუარსებიათ რამდენიმე ოფელი; ამ ქამად ოლქის უფროსის მმართველოში ათასობდ თხოვნაა ეტანილი იმის თაობაზე, რომ მთხოვნელთ მიეცეთ მიწა. ადგილობრივის მთავრობის აზრით, შესაძლებელია დაკმაყოფილონ ხუთასი მთხოვნელი. თითო კომლს შესაძლოა მიეცეს ოთხის დღიურიდგან თორმეტამდე.

გაზეთები იუწყებიან, ვითომ საკაციონერო საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთ უფროფერიათ ფინანსთა სამინისტროსათვის, რომ ერთსა და იმავე ფასად მიიღეთ გირაოდ ჩვენი გირავნობის ფურცლები და საურთიერთო საადგილ-მამულო კრედიტის საზოგადოებათა გირავნობის ფურცლები სახაზინო იჯარის ასაღებად. გაზეთები ამბობენ, რომ გირავნობის ფურცლების ფასი დღემდის ბევრად ნაკლები იყო იმ საზოგადოებათა გირავნობის ფურცლებისა და ობლიგაციების ფასზე, რომელნიც დამყარებულნი არიან საურთიერთო თავდებობაზეო.

ავსტრო-გერმანიის ხელ-შეკრულობის გამოქვეყნებამ გამოიწვია დიდი ლაპარაკი უცხოეთის მწერლობაში. ბერლინისა და ვენის გაზეთები ამბობენ, რომ იმ ხელ-შეკრულობის [illegible]ოცხადება მშვიდობიანობის მანიფესტია არისო; ფრანგული გაზეთი «Paris»-ი ამბობს, რომ იგი ზარაბაზნის სროლაა და არა სამშვიდობო ამბავიო. გაზეთი «Temps» ჰკითხულობს: რუსეთი რომ ბოლგარიის საქმეში ჩაერიოს, ჩასთვლის ავსტრია თუ არა ამ გარემოებას ომში გამოსაწვევადო? გაზეთ «Paris»-ის აზრით, ბისმარკმა ომისთვის გამოაცხადა ის ხელ-შეკრულობა, რომ რეიხსტაგმა [illegible]იწყნარა 280 მილიონი სესხი [illegible]რო საჭიროებისათვის.

[illegible]ᲞᲐᲠᲘ. ღღეს უნივერსიტეტში [illegible] ლექციები.

**ᲛᲔᲠᲘ.** ეიუბ-ხანი, რომელიც იმოფეფიდა აქ ინგლისის სამხედრო ენტის პოლკოვნიკ მაკლეაკის ზედადველობის ქვეშ, წაუყვანიათ ინდოეთში. უფულობამ და უდაბნო ადგილებში სიარულმა იძულებულ ჰყო ეიუბ-ხანი, დაშმორჩილებოდა ინგლისელებს. ინგლისმა კარგა დიდი პენსია დაუნიშნა ეიუბ-ხანსა.

26 იანვარი.

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** ღღეს პირველად წაიკითხეს რეიხსტაგში კანონ-პროექტი ფულის აღებისა სესხად. კრებაზედ თავადმა ბისმარკმა სხვათა-შორის სთქვა: «ამ ერთის წლის წინად, ჩვენ გვეფიქრებოდა ომისა საფრანგეთთან; მაგრამ შემდეგ საფრანგეთმა მშვიდობიანი ლაპარაკი დაიწყო. მე შემიძლიან დავამშვიდო საზოგადოება: საფრანგეთის მხრივ მშვიდობიანობა არ დაირღვევა; რუსეთის მხრივაც არ უნდა გვეფიქრებოდეს თავ-დასხმისა; სიტყვა ომიერატორის ალექსანდრესი მრწამს და მჯერა. შეიძლება საშიშ საქმედ ის გვეჩვენოს, რომ რუსეთი ჯარს აგროვებს საზღვარზე; მაგრამ მე არავითარს საბუთსა და მიზეზს არ ეხედავ, რომ ან რუსეთმა, ან ევროპამ ომი დაიწყოს. რუსეთს სრულიად არა აქვს იმისი სიხარბე, რომ დაიპყრას პრუსიისა ანუ ავსტრიის პროვინციები; საფრანგეთთანაც რომ ომიანობა შეგვემთხვეს, მაშინაც-კი არ გამოვიდოდა რუსეთი საომრად. თუმცა სჩანს ნიშნები ქარ-ტეხილისა, მაგრამ მაინც სამთა იმპერატორთა დაახლოვების წყალობით, ასეთი თუ ისეთი მყუდროება ჩამოვარდა. ჩვენკი მაინც მოცალენი ვართ გავაძლიეროთ ჩვენი მხედრობა, რათა დავიცვათ ჩვენი სახელი და მიწა-წყალი. ამისათვის არაევთარი სხვერპლი არ უნდა მიგვაჩნდეს მძიმე სხვერპლადა. საფრანგეთისა და რუსეთის მიზეზიანობა და სურველი გამოდაყენისა გაძლიერებულს მზად ვიყვნეთ მტრის მოგვრებისათვის. ჩვენ უფრო შეგვიძლიან, ვიდრე რომლისამე სხვა ერს, პასუხი მივცეთ ჩვენს მტრებს. პრუსია მუდამ იმასა სცდილობდა, რომ რუსეთთან მეგობრობა გვქონოდა და მე ყოველთვის გულითა და სულით ვზრუნავდი, რომ უფრო გამტკიცებულიყო ასეთი, მამა-პაპით ნაანდერძევი სამოყვრო ურთიერთობა; მაგრამ მაინცა-და-მაინც რუსეთი გაგვეგულგრილდა. მე ამიტომ ვამბობ ამასა, რომ მიხვდეთ, რად შეეკრთით კავშირი ჩვენა და ავსტრიამა. მე არ შემიძლია განზე გავდგომოდი ავსტრიას. მე რომ ასე მოვქცეულიყავ, ევროპა გაგვინაპირებდა და გაგვამარტოებდა. მაშინ რუსეთის სრულს დამოკიდებულებაში ჩავცეოდით. ზოგსა ჰგონია, რომ ხელ-შეკრულობის დაბეჭდვა და გამოქვეყნება მუქარი არისო; მაგრამ მე ეგონია, ხელ-შეკრულობა იმას ამტკიცებს და მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ხელ-შეკრულობის დამდებთ საერთო ინტერესები აქვთ. იტალიასა და ჩვენ შორის ხელ-შეკრულობა საერთო ინტერესების ნიშნია; არის და იმ სურეელსაც ჰმოწმობს, რომ საყოველთაო საფრთხე ერთად აეიცილოთ თავიდამ და, საერთო ღონით დაეცვათ მშვიდობიანობა. ავსტრია ბუნებითადეე ჩვენი მოკავშირეა, რადგანაც იმასაც და ჩვენც ერთი და იგივე საფრთხი მოგველის, ერთი და იგივე მუქარა გვიდგა თვალ-წინ საფრანგეთისა და რუსეთის მხრივ. რუსეთის სიძულილისა არ უნდა გვეშინოდეს: სიძულილის გამო ლაშქრობას არავინ არა სწევს. ის ძლიერება, რომელიც [illegible] ჰქონ[illegible]ლ, დამშეიდებულ საზოგადოებას; დაუმტოთ კიდეე ამ ძლიერებას — აი ჩვენი სურეველი და უპირველესი საქმე! ღღეეანდელის კანონ-პროექტების წყალობით ჩვენ შეგვეძლება თითოეთითოდ მილიონი კარგი მეომარი გავიყვანოთ ჩვენს ორთავე სამხღვარზედ. კრებული ჩვენს აფიცრებისა ისეთია, რომ მისი მზგავსი არც ერთს დიდს სახელმწიფოს არა ჰყავს. თუ ჩვენ ომს დავიწყობთ, ის ომი საერო ომი უნდა იყოს. არც ის გარემობა, რომ ჩვენ გვეკმის, რა ძალაცა გვაქვს, არც ისა, რომ იმედიც არის გამარჯვებისა, ჩვენ მაინც არ წაგვიდენს და წინანდებურადვე მშვიდობიანობის მსურველნი ეიქმნებით. ეიმედოვნებ კიდეეც, რომ ჩვენსა და ჩვენთა მეზობელთა შორის, მეტადრე ჩვენსა და რუსეთს შორის მშვიდობიანობა არ დაირღვევა. ბოლგარიის შესახებ ჩვენ ჩვენი აზრი არ შეგვიცვლია. ეინიცობაა, რუსეთმა რომ მოგვთხოვოს, ვსთქვათ მიქმაგეთ ხონთქრის წინაშე და შემისრულეთ რასაცა ვჩემობ ბოლგარიაში და რაც არ ეწინააღმდეგება ბერლინის კონგრესის გარდაწყეეტილებასაო, მე ყოყმანს არ დავიწყებდი და შეეასრულებდი ასეთს სურეელსაო.“

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ 22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

| | ᲛᲐᲜ. | ᲙᲐᲞ. | ᲛᲐᲜ. | ᲙᲐᲞ. |
|---|---|---|---|---|
| ᲮᲣᲗᲛᲐᲜᲗᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲝᲥᲠᲝ | — | ,, | — | ,, | 9 | 30 |
| ᲒᲐᲚᲘᲪᲘᲐᲜᲘ ᲙᲣᲠᲝᲜᲘᲡ | — | ,, | — | ,, | 186 | |
| ᲛᲐᲜᲗᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲪᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ | — | ,, | — | ,, | 1 | 3 | 2 |
| 5% ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲔᲒᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ | — | ,, | — | ,, | 264½ | |
| — ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ | — | ,, | — | ,, | 247½ | |
| ᲒᲘᲠᲐᲕᲜᲘᲡ. ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ ᲒᲠᲘᲤᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ | — | ,, | — | ,, | 98½ | |
| ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ | — | ,, | — | ,, | 98½ | |
| ᲒᲠᲘᲤᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲠᲝ ᲘᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲜᲓᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ | — | ,, | — | ,, | — | “ |

## ᲡᲐᲯᲐᲚᲘᲜᲓᲐᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ქრისტეს აქვე ჩვენ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდან **7396.**

ᲯᲔᲠᲘ ᲘᲜᲓᲘᲥᲢᲘᲝᲜᲘ მე-14,
ᲐᲛᲘᲜᲘ ᲥᲝᲠᲝᲜᲘᲙᲝᲜᲘ—უᲐ=480 წელია, დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲥᲢᲘᲝᲜᲘ მე-4,
ᲐᲛᲘᲜᲘ ᲥᲝᲠᲝᲜᲘᲙᲝᲜᲘ—ᲛᲓ=44 წელწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 31 ᲦᲦᲔᲗ ᲐᲠᲘᲡ

27 დღე ოთხშაბათი. წმ. იოანე ოქროპირის ნაწილთა გადმოტანა. კათოლ. წმ. ოქროპირისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ᲩᲣᲨᲐᲠᲘᲢᲘ შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 5—24. მთვარე 27 დღისაა.

28 დღე ხუთშაბათი. ღირსისა ეფრემისი და პალლადისი. სომეხ. ეგვენისი, მაკარისი და სხ. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ᲩᲣᲨᲐᲠᲘᲢᲘ შუა-დღე 12—14, ტფილისში მზე ამოდის 7—4, ჩადის 5—25. მთვარე 28 დღისაა.

29 დღე პარასკევი. გადმოტანა ნაწილთა ეგნატე უფლის მატარებლისა. კათოლ. წმ. ვინსე. ფრანცისკე სალეზისი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ᲩᲣᲨᲐᲠᲘᲢᲘ შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—26. მთვარე 29 დღისაა.

30 დღე შაბათი. წმინდა სამთა მამა-მთავრისა: წმ. დიდ ვასილისა, იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. მარტინესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ამ დღეს გარდაიცვალა ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი, რომელიც თეირანში მოჰკლეს 1829 წ. — გრიბოედოვი დასაფლავებულია წმ. დავითის ეკკლესიაში, ტფილისში. — ᲩᲣᲨᲐᲠᲘᲢᲘ შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 5—27. მთვარე 30 დღისაა.

31 დღე კვირა. საკვირველ-მოქმედ. იოანესი და წმინდა შიო მღვიმელისა. კათოლ. წმ. ადამსაარ. პეტრე ნალიასესი. სომეხ. წმ. პეტრესი. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ᲩᲣᲨᲐᲠᲘᲢᲘ შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 5—29. დაბადება მთვარისა 2 საათსა და 46 წუთზედ.

## ᲒᲐᲛᲝ-ᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ᲜᲘᲜᲘᲠᲘ

1 იანვრიდან 1 თებერვალამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ. | | | |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | » | |
| » | 2 | » | |
| თოსის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » | |
| » » 2— | 3½ | » | |
| » » 3 » | 3 | | |
| ᲯᲣᲠᲘᲡ ᲨᲘᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲯᲣᲠᲘᲡ | | | |
| 1-დის ხარისხისა . . | 5 | » | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » | |
| მე-3 — . . . . | » | » | |
| ცხვრის ხორცი 1-დის ხარისხისა. | 8 | » | |
| » 2 » | 7 | » | |
| სუკი . . . . | 14 | » | |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | » | |
| დორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 7 | » | |
| » 2 » | 6 | » | |

## ᲛᲘᲛᲝ-ᲡᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲚᲘᲡ ᲒᲣᲛᲔᲑᲘᲡᲐ

ᲨᲐᲒᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღეეის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოგორაოსიისკენ და კერჩში შეეკლის.

შაბათობით საღამის 8 საათზე შორის გზით (ეკეკლ ნავთ-სადგურებში შეეკლის).

კვირაობით საღამოთა, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისს შორის გზით.

პარასკევობით დიდით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოგორაოსიისკენ შესვლით).

შაბათობით — დიდით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როგორ სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—ღამის 9 საათზე და მაესწრობს მოკლეს გზით მოსაცარელეკვეკესაისა და ეარიმის გემსა.

შაბათობით — ღამის 9 საათზე და მაესწრობს შორის გზით მოსაცარელეკვეკესაი-ეარიმისა და რუმეელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის საკენტრო გადასწეკეტს ხოდმე, როდის წკა უკეს.

ᲐᲮᲚ გარდა ეოკეკ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ეარიმ-კეკეკესაის ნავთსადგურებიდამ გადწეკეტილს კადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გასოკეკენ. მერე ბათუმიდამ შარასკევობით მიდიან ეარიმ-კეკეკესაის ნავთ-სადგურებისკენ, ხოდო თუ საკერო, ფოთშიაც შეეკლიან ხოდმე.

რუსეთის სინოდისა საზოგადოების საკენტრო იმეოფეკეს საინსდის ქუჩაზე, არრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲐᲯᲘᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲘᲧᲘᲓᲒᲐ

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲨᲘᲨᲐᲠᲘᲡ

ᲨᲕᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲩᲙᲔᲑᲘᲡᲐ,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიადი იფადაცა ღირს. ნარდად მყიდველსთ ბევრი დაეთმობათ.

## ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

Გ. Ბ. ᲢᲔᲠᲘ-ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝ.

ᲕᲔᲠᲐᲖᲔ, ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲨᲘ.

(50—14)

«წერა-კითხვის საზოგადოებისა» კანცელარიაში, ლ. ხიდდეკელის და გრ. ჩარკეკიანის წიგნის მაღაზიებში იყიდება:

კანვაზედ საკერი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ

გრ. ტატიშვილის მიერ შედგენილი.

ფასი ერთი აბაზია. ვინც ოცს ეგზემპლიარს ნაღდს ფულზე იყიდის, წიგნი 15 კაპეიკად დაეთმობა.

## ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲗᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐ

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურთა ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები, ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდამ საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექმნება, ამ აადრესი უნდა მოჰქმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности, Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—2)

## ᲜᲘᲠᲡᲔᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ

თვრამეტს მაღაზიას, თაღ-გადატანილის მარნებით, ცალ-ცალკე თვალს,

## ᲒᲐᲥᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑ

თებერვლის პირველიდამ ქ. ტფილისში, იარმუკაზედ. მსურველი ამავე შენობაში მნახავს ფასების გასაგებად.

(3—3) არენდატორი ალ. თუთაევი


[illegible]ᲠᲘ. ᲪᲔᲜ. Тиф. 25, января 1888 г. Типографія А. А. Михѣльсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ